პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 8 20 0000641352

28/07/2020

სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ „ვებტექნოლოგიების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიას“ (ს/კ: 205339944) მიენიჭოს უფლება, განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ვებტექნოლოგიების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი)**.
2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 17 ივლისი.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 28 ივლისის №641238 ოქმის მეოთხე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩაგელიშვილი მარიამ

დანართი

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ფანჯიკის ქ. №3
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	224
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)*	28
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	63
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93